საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის 2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი „ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოს და ამერიკის შეერთებულ შტატებსა შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულების მეექვსე ცვლილებაზე

2010 წლის 12 აგვისტოს აშშ-სა (რომელიც მოქმედებდა USAID-ის მეშვეობით) და საქართველოს (რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით) შორის ხელი მოეწერა „ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის" დახმარების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისად USAID-მა გამოუყო საქართველოს 77,069,599 აშშ დოლარის ოდენობით გრანტი, იმ პირობით, რომ აღნიშნული გრანტის თანხა შესაძლოა USAID-ის მხრიდან გაზრდილიყო. დახმარების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს მხრიდან თანამონაწილეობა შეადგენდა 24,376,437 აშშ დოლარს, რომელიც ასევე შესაძლოა გაზრდილიყო ან შემცირებულიყო USAID-ის მიერ გრანტის თანხის გაზრდასთან ან შემცირებასთან ერთად. ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 14 სექტემბერს.

აღნიშნულ ხელშეკრულებაში მისი ხელმოწერიდან დღემდე განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ:

- აღნიშნული ხელშეკრულების პირველი ცვლილებას ხელი მოეწერა 2011 წლის 21 სექტემბერს და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის 25 ოქტომბერს;
- მეორე ცვლილებას ხელი მოეწერა 2012 წლის 29 სექტემბერს და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 21 ნოემბერს;
- მესამე ცვლილებას ხელი მოეწერა 2013 წლის 27 სექტემბერს და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 27 ნოემბერს;
- მეოთხე ცვლილებას ხელი მოეწერა 2014 წლის 30 სექტემბერს და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 12 ნოემბერს;
- მეხუთე ცვლილებას ხელი მოეწერა 2014 წლის 30 დეკემბერს და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 19 თებერვალს.

ამჟამად წარმოდგენილია მეექვსე ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს პროექტის დასრულების თარიღის (30.09.2017) გაგრძელებას 2018 წლის 30 სექტემბრამდე.

აღნიშნული ცვლილების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი იწყებს სამწლიანი ოჯახური ძალადობის პრევენციის კომპონენტის განხორციელებას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს №1752 განკარგულების და პრემიერ-მინისტრის №340 ბრძანების საფუძველზე 2015 წლის 24 აგვისტოს ხელი მოეწერა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის" 2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების მეექვსე ცვლილებას.

ხელშეკრულების მეექვსე ცვლილება 2015 წლის 24 აგვისტოს ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბატონი ნოდარ ხადურის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორის მოვალეობის შემსურებლის ბატონი ტომას მორისის მიერ.